

# საინვესტიციო-საპროფენტიციო პროექტი

მარწყვის წარმოება სათბურში



## მარწყვი (ლათ. *Fragaria Ananassa*)

ყინვაგამძლე, მავნებელ-დაავადებების კარგად ამტანი, ტრანსპორტაბელური მცენარე

გამოირჩევა ჯანმრთელობისათვის სასარგებლო და სამკურნალო თვისებებით, მდიდარია ვიტამინებით, ორგანული მჟავებით, ნახშირწყლებით და მინერალური ნივთიერებებით

ხარობს ნოყიერ, მსუბუქ და ფხვიერ ნიადაგზე

ნიადაგის არეს ოპტიმალური რეაქცია pH 5.8-6.5

გაშენების სასურველი პერიოდი ადრეული შემოდგომა (დახურულ გრუნტში)

ყვავილობს მაის-ივნისში, ნაყოფი მწიფდება ივნის-ივლისში

არასასურველი წინამორბედი კულტურა - პომიდორი, კარტოფილი

რეკომენდირებული ჯიშები - სან ანდრეასი, ალბიონი, სვიტ ჩარლი, სისქეიპი, ფორტუნა

# მარწყვის წარმოება საქართველოში

2016 წელს საქართველოში 2,5 ათასი ტონა მარწყვი იქნა წარმოებული

აჭარაში, განსაკუთრებით კი ქედის მუნიციპალიტეტში, მარწყვის პლანტაციის გასაშენებლად ძალიან კარგი პირობებია.

საქართველოში მარწყვის ორი ძირითადი, მოკლე დღის და დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური ჯიშებია გავრცელებული

დარგვის დრო დამოკიდებულია რეგიონზე. დასავლეთ საქართველოში მარწყვი უნდა გადაირგას სექტემბრის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის დასაწყისამდე

მოკლე დღის მარწყვის ჯიშები მოსავალს მაისის ბოლოდან 2-3 თვის განმავლობაში იძლევა, ხოლო დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური მარწყვის ჯიშები ივლისიდან შემოდგომამდე მსხმოიარობენ



საქართველოში მარწყვის იმპორტი მზარდი დინამიკით ხასიათდება, რაც აღნიშნულ სეგმენტში მზარდი მოთხოვნით არის გამოწვეული

# მსოფლიო სტატისტიკა

მარწყვის მსოფლიო წარმოება სტაბილურად იზრდება. 2014 წელს მსოფლიოს მასშტაბით 8 მილიონ ტონაზე მეტი მარწყვი იქნა წარმოებული. მარწყვის წარმოებაში ლიდერობს აშშ, მექსიკა, ესპანეთი და თურქეთი

მარწყვით ვაჭრობის მსოფლიო ბრუნვამ კი 2013 წელს 4 860 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა

შეინიშნება მოხმარების ზრდა აშშ-ში, ევროკავშირში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში



# SWOT ანალიზი

## ძლიერი მხარეები

- რეგიონში მარწყვის მოყვანის დიდი გამოცდილება
- ხელსაყრელი კლიმატური და ნიადაგური პირობები
- სახელმწიფო მხარდაჭერა (წარმოების ხელშემწყობი მიზნობრივი პროგრამები)
- იაფ ნედლეულზე ხელმისაწვდომობა შიდა ბაზარზე

## შესაძლებლობები

- მზარდი მოთხოვნა მარწყვზე შიდა და საგარეო ბაზრებზე
- სტაბილური და მზარდი ფასები არასეზონზე
- საკონსერვო წარმოების განვითარების შესაძლებლობები
- ექსპორტის შესაძლებლობები (თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები ევროკავშირთან და მთელ რიგ ქვეყნებთან)

## სუსტი მხარეები

- წარმოების მაღალი დანახარჯები (სასათბურე მეურნეობის პირობებში)
- დარგის სპეციალისტების სიმცირე

## საფრთხეები

- ძლიერი კონკურენცია ადგილობრივ და საგარეო ბაზრებზე

# ნედლეულის (ჩითილების) შესყიდვის წყაროები

**შიდა ბაზარი:**

ადგილობრივ ბაზარზე ნედლეულის მიმწოდებლების შესახებ ინფორმაციისთვის გთხოვთ, მოგვმართოთ აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისამართზე: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქ. 119 ან დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 24 78 41

**იმპორტი:** აშშ, ესპანეთი, იტალია, პოლონეთი, თურქეთი, რუსეთი

1 ძირი ჩითილის ფასი ადგილობრივ ბაზარზე 0.8-1.2 ლარამდეა, ხოლო იმპორტირებული ნერგის ფასი განსხვავებულია და ქვეყნების მიხედვით 0.5 დან 2\$-მდე მერყეობს



# ხარჯთაღრიცხვა 1 კა-ზე

საჭირო ღონისძიებები	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ ხარჯი (ლარი)
მრავალთაღოვანი სათბურის კომპლექტი (მიკროკლიმატ კონტროლი, კომპიუტერიზირებული მორწყვის სისტემა, სუბსტრატის კონტეინერების განსათავსებელი კარკასები)	1	1 110 000	1 110 000
მარწყვის მაღალხარისხიანი ჩითილი	250 000	1	250 000
კომპოსტის ყუთები (ცალი)	17 800	11	195 800
სამაცივრე კამერა - 10 ტონიანი	1	24 000	24 000
შემზადებული სუბსტრატი - ტორფი 65% + პერლიტი 35% (კუბ.მ)	190	205	38 950
საოფისე/სასაწყობე ფართის მოწყობა			163 800
აგროტექნიკური ღონისძიებები/მუშახელი 1 წელზე			225 725
<b>სულ პირველადი ინვესტიცია</b>			<b>2 008 275</b>

## ძირითადი საინვესტიციო პარამეტრები

სულ პირველადი ინვესტიცია (1 ჰა-ზე): **2 008 275 ლარი**

საწყისი ინვესტიცია (ერთჯერადი ხარჯი): 1 781 750 ლარი

ცვლადი ხარჯები: 64 525 ლარი

შრომის ანაზღაურება: 162 000 ლარი

მოსავლიანობა: **75 ტონა**

უკუგების პერიოდი: **7 წელი**

სარგებელი მე-8 წელს: **300 000 - 350 000 ლარი**

1 \$=2.4 ლ (2017, [www.nbg.ge](http://www.nbg.ge))





## სარეალიზაციო არხები

- √ საბითუმო ბაზარი
- √ საცალო სავაჭრო ქსელები
- √ საკვები ობიექტები, სასტუმროები
- √ გადამყიდველები/შუამავლები
- √ საგარეო ბაზრები (ექსპორტი)



## წარმოების ეფექტურობის წინაპირობები

- √ ჯანსაღი ნერვის დარგვა
- √ აგროღონისპიეების დროული განხორციელება
- √ მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ინტეგრირებული ბრძოლა

# სახელმწიფო მხარდაჭერა და ექსპორტის შესაძლებლობები

- საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებამდე პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება (<200 000 ლ), ასევე გაუნაწილებელი მოგება, არ იბეგრება შესაბამისი გადასახადით
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის “მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა” ფარგლებში ხეხილოვანი კულტურების ნერგების შექმნასა და სარწყავი სისტემის მოწყობაზე თანადაფინანსება
- ექსპორტი და რეექსპორტი საქართველოდან გათავისუფლებულია საბაჟო და დამატებითი ღირებულების გადასახადისგან
- შესაძლებელია ექსპორტის სერთიფიკატების „ერთი ფანჯრის“ პრინციპით, უმოკლეს ვადაში მიღება
- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most-Favoured Nation - MFN) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრ ქვეყნებთან
- პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences - GSP) აშშ-სთან, კანადასთან, იაკონიასთან, ნორვეგიასთან და შვეიცარიასთან
- ასოცირების შეთანხმება ევროკავშირთან და მასთან არსებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტი (DCFTA), შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (The European Free Trade Association - EFTA)
- მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დსთ-ს და სუამის წევრ ქვეყნებთან
- ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შემდეგ ქვეყნებთან: ჩინეთი, რუსეთი, თურქეთი, უკრაინა, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა